ბოლო სატელეფონო საუბარი ჟიული შარტავასთან...

როგორ მინდა, კალამმა ყველაზე მეტად ახლა ივარგოს და იკარგოს, როცა ამ წერილს ვწერ, როგორმე გავაბათილო დიდი პატრიოტის, შეუდარებელი ორგანიზატორის, გამორჩეული პიროვნების, ყველა ღირსებით შემკული გმირობისათვის დაბადებული, ქართველი კაცის შეფასება, რომ როგორმე ბატონი ჟიულისათვის საკადრის სიტყვას მივუახლოვდე..."ბედნიერია ის ვინც თავის ნიჭიერებას სამშობლოს კეთილდღეობისთვის გასცემს უშურველად, სახელი მისი მარადისობას დარჩება" წერდა ჭაბუა ამირეჯიბი. ბატონი ჟიული იყო იმ ღირსეულ ქართველთა გენის გამგრძელებელი რომელმაც კარგად იცოდა , სიტყვა უფალია და მისდამი თაყვანისცემა და მსახურება, საღმრთო საქმე. დღეს ძალზე ბევრნი მავანნი და მავანნი ბატონი ჟიულის დიდ საქვეყნო ღვაწლზე ლაპარაკობენ. მე კი მათეს სახარებიდან ვიცი: საიდუმლო სერობაზე ქრისტემ უთხრა პეტრეს(თავის ყველაზე ახლო მოციქულს), სანამ მამალი მესამედ იყივლებს სამჯერ მიღალატებო . არ დაუჯერა პეტრემ თავის მოძღვარს: ეს არ მოხდებაო, მთელმა დუნიამ რომ გიღალატოს მაინც არ გიღალატებო. ვერ შეასრულა პეტრემ დანაპირები. მამლის მესამედ დაყივლებამდე სამჯერ უარყო ქრისტე. სამწუხაროდ ბევრმა მისმა მეგობარმა უღალატა ჟიულის, როდესაც მის მიერ გაკეთებულ საქმეს ვიხსენებ შემიძლია ეჭვი შევიტანო სახარებისეულ ჭეშმარიტებაში. მე კი მხოლოდ ერთ მხარეზე- მის ერთგულ მეგობრობაზე და გაუბზარავ კაცობაზე მინდოდა მეთქვა ორი სიტყვა. ისიც მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: მე ამაყი ვარ რომ, ვიყავი ჟიული შარტავას თანამებრძოლი. არც შინაგან საქმეთა ორგანოში მუშაობის პერიოდში გამიწყვეტია მასთან კავშირი. იგი ხშირად მირეკავდა ხოლმე. ჩემთვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო სამი ზარი , რომელიც 1975წლის ოქტომბერში , 1977 წლის აგვისტოში, 1993 წლის სექტემბერში შედგა. მე არასოდეს დამავიწყდება ბოლო სატელეფონო საუბარი ჟიული შარტავასთან. ზუსტად მახსოვს ეს იყო 1993 წლის 18 სექტემბერი, იქნებოდა დაახლოებით დილით 12 საათი. მაშინ გალის რაონის კრიმინალური პოლიციის უფროსად ვმუშაობდი და ჩემს მეგობრებთან ერთად სოფელ აჩიგვარის ტერიტორიაზე ვიმყოფებოდი . ჟიულიმ დამირეკა მომიკითხა, კიდევ ერთხელ გაგვამხნევა რჩევები მოგვცა , დამარიგა კიდეც ,ბოლოს კი ერთი სიტყვა მითხრა „ვეჩქარა" რაც მეგრული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს არ იჩქარო. მას ამის თქმის უფლება ნამდვილად ქონდა, ვაღიარებ რომ ზოგჯერ გადაწყვეტილების მიღებისას ვჩქარობდი . ასე მოხდა მაშინ როდესაც დავუპირისპირდი აფხაზეთის შსს მაშინდელ მინისტრს კლიმოვს, და პროტესტის ნიშნად მაგიდაზე დავუდე მის მიერ გაცემული წიგნაკი და სამსახურიდან წამოვედი ,მიზეზი იყო ის, რომ მე მისი დავალება შევასრულე, გავხსენი

განსაკუთრებით მძიმე დანაშაული , მისი მხრიდან მადლობის მაგიერ , საყვედური დავიმსახურე ,გვიან გავიგე რომ მათი მიზანი არა დანაშაულის გახსნა არამედ მხილებული პირებისგან გამოძალვა იყო. თითქმის 1 წელი ვიყავი უმუშევარი ,1977წლის ივნისის თვეში გაიმართა რაიონის პარტიული კონფერენცია რომლსაც ესწრებოდა მთავრობის თავჯდომარის მოადგილე ბატონი ნოდარ ჭითანავა , რამდენიმე გამომსვლელმა ყურადღება გაამახვილა ჩემი ორგანოდან წამოსვლის საკითხზე და ითქვა, რომ ადამიანი რომელიც ებრძოდა კორუფციას დაითხოვეს შინაგან საქმეთა ორგანოდან. ერთ-ერთი გამომსვლელის კერძოდ გაზეთ „ლენინელის“ რედაქტორის მოადგილის ალე გვახარიას რჩევით განცხადებით მივმართე ქვეყნის პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, პირადად შევხვდი მას. ჩემი განცხადება რეაგირებისთვის დაეწერა ბატონ ნ. საჯაიას. საკითხი შესწავლილი იქნა და განსახილველად გადაეცა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს . მე ჩემი სიმართლე დავამტკიცე. ისევ ძველ ადგილზე აღმადგინეს. ამ დროს ჩემ გვერდით იყო ჟიულიც. ვერ წარმოვიდგენდი რომ 1993 წლის 18 სექტემბრის სატელეფონო საუბარი რომელიც შედგა ჟიულის ინიციატივით იქნებოდა უკანასკნელი, რამდენი წელი გაირბენს როგორც ერთი გაელვება. 1993 წლის 27 სექტემბერს კი სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული მამულიშვილი გმირულად შეხვდება სიკვდილს. მტკივა , ძალიან მტკივა იმ წუთებში მის გვერდით არ ვიყავი...ჟიული შარტავა ქართველი ერის იმ რჩეულთა შვილებს მიეკუთვნება რომლებმაც უყოყმანოდ გასწირეს თავისი სიცოცხლე , მთელი თავისი ძალა და ნიჭი მშობლიური ქვეყნის , გადარჩენას მოახმარეს ,უნდა ითქვას რომ ჟიულიმ ლომის წვლილი დაიდო ერის უკვდავსაყოფი ტაძრის შენებაში , იგი იყო არამარტო ახალგაზრდობის ლიდერი , არამედ მათი ნამდვილი ჭირისუფალი ,ცეკას ბიუროზე თუ პლენუმებზე არცთუ იშვიათად უხდებოდა ჭიდილი თავის პოზიციის ბოლომდე დასაცავად თუ გასატანად. ახალგაზრდებმა კი კარგად იცოდნენ რა ზურგი ქონდა, რა ფარი ყავდათ მისი სახით და უშიშრად ამბობდნენ სათქმელს . ბატონი ჟიული საკუთარ თავზე იღებდა დარტყმას- სწორედ ერთობლივი თავდადება, ზოგჯერ თავგანწირვაც კი, იყო ალბათ ბატონი ჟიულის საოცარი პოპულარობისა და საყოველთაო სიყვარულის მიზეზი . მისი ინიციატივით დამევალა გუდაუთის კომკავშირის რაიონული ორგანიზაციის შემოწმება და შესაბამისი მასალის მომზადება . შეგნებულად არ მითქვამს უარი . ობიექტური დასკვნა გავაკეთე. კომკავშირის ცეკას საორგანიზაციო განყოფილებაში მკლავი არავის მოუჭრია, დაწუნებით კი დამიწუნეს, შევცდით შენ რომ მოგანდეთ ეგ საქმეო,- სხვისთვის რომ მიგენდოთ არაფერი გამოგივიდოდათ რადგან ბატონი ალექსანდრე ანქვაბის მიერ გაკეთებული საქმეების უარყოფითი შეფასება შეთითხნილი იქნებოდა და არა ნამდვილი-მეთქი. ეს ის ანქვაბია რომელიც ჩვენები რომ შევიდნენ სოხუმში იქ იყო, ვერ მოასწრო სოხუმის დატოვება იგი შეხვდა ყარყარაშვილს, და მისი ბრძანებით ჩვენებმა გააცილეს...მისცეს საშუალება

მოწინააღმდეგე მხარეს გადასულიყო და შემდეგ როდესაც გაგრაში გოჩა ყარყარაშვილი დაიღუპა (ეს ორი თვის თავზე ხდება) ანქვაბმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის რომ ცხედარი გადმოგვესვენებინა . ჩვენს ბიჭებს ფაქტიურად ანქვაბმა პირადად გამოატანა ცხედარი. ჟიულიმ რომ წაიკითხა ჩემს მიერ მომზადებული დასკვნა შევატყე, რომ მოეწონა ჩაეღიმა ნამეტნავად შემაქო. ამ სტრიქონების ავტორი ბოლო 40 წლის განმავლობაში ბევრი საშინელი ამბის მოწმე გავხდი. ჩემ თვალწინ იწვოდა აფხაზეთის ქალაქები და სოფლები. დაიღუპა ბევრი ჩემი ახლობელი და ნათესავი . დაიკარგა ასობით ქართველთა ხელით აშენებულ-აყვავებული სოფლები, უპატრონოდ დარჩა წინაპართა საფლავები, დევნილი გავხდი და ცხოვრების დაწყება თავიდან მომიხდა , მაგრამ ისე არასოდეს გამჭირვებია როგორც ახლა, როცა ამ სტრიქონებით წარსულში ვიგონებ ვაჟკაცსა და კეთილშობილ ადამიანს უტყუარ კოლხს, ჟიულ შარტავას. ცხოვრებამ ჩვენ 70იანებში კომკავშირის ცეკას შენობაში შეგვახვედრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის განთავისუფლებულ მდივნად არჩევასთან დაკავშირებით გასაუბრებაზე ვიყავი მასთან დაბარებული. .პირველმა შეხვედრამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. .ჟიულიმ დეტალურად გამომკითხა ყველაფერი. წვრილმანებიც კი ,მთხოვა ასევე თუ რა ხდებოდა ფაკულტეტზე, იყო თუ არა სტუდენტები ჩართული სხვადასხვა აქტივობებში, როგორი იყო ხელშეწყობა ადმინისტრაციის მხრიდან, ხო არ გვჭირდებოდა რამეში დახმარება. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1975 წლის სექტემბერში ფაიფურის ქარხნის მშენებლობაზე მყავდა სტუდენტები წაყვანილი, კვირა დღე იყო დღესაც კარგად მახსოვს როდესაც მშენებლობაზე მიმდინარე მშენებლობის დასათვალიერებლად მოვიდნენ ზუგდიდის პარტიის ქალაქკომის პირველი მდივანი გრამიტონ კვარაცხელია და გალის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ბაკურ გულუა. დაათვალიერეს მშენებლობა , შეხვდნენ სტუდენტებს გამოკითხეს თუ რამე პრობლემები ქონდათ და დატოვეს იქაურობა . იმავე დღეს ტელეფონით მირეკავს ჟიული შარტავა და მეუბნება, გალის რაიკომის მდივანი ბაკურ გულუა გელოდება და იქნებ ნახოო, მეორე დღეს მივედი გულუასთან რომელმაც შემომთავაზა გალის კომკავშირის რაიკომში მუშაობა .მისი ნათქვამიდან ერთი სიტყვა დღემდე მახსოვს ეს შენი რაიონიაო , რაც გახდა საკმარისი რომ მე თანხმობა მიმეცა და ისევ დამირეკა ჟიული შარტავამ და მეკითხება, რა გადაწყვეტილება მიიღეო. ავუხსენი ყოველივე და მომიწონა მიღებული გადაწყვეტილება, გარკვეული პერიოდი ვიმუშავე გალის კომკავშირის რაიკომში საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ხოლო შემდეგ კომკავშირის რაიკომის მეორე მდივნად .1977 წლის სექტემბრის თვეში, ერთ მშვენიერ დღეს მიბარებენ პარტიის რაიკომის ბიუროზე და მეუბნებიან რომ უნდა გადავიდე სამუშაოდ რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილედ . მე რა თქმა უნდა გავოცდი სად სატრანსპორტო ფაკულტეტის კურსდამთავრებული და სად

პოლიცია, ამან პირველ რიგში გააღიზიანა პარტიის რაიკომის მესამე მდივანი კონსტანტინე ზაქარაია, მეუბნება პარტია გავალებსო და გადაწყვეტილება არ შეიცვლებაო. საკითხი შეთანხმებულიაო ჟიულ შარტავასთანო . მე ისევ დავუკავშირდი ჟიული შარტავას ავუხსენი ყოველივე, ის კი მეუბნება მე სხვა გადაწყვეტილება მქონდა მიღებული მაგრამ შენი გადასაწყვეტიაო. მეც დავთანხმდი და გადავედი სამუშაოდ გალის პოლიციაში. კიდევ ერთი შეხვედრა მახსენდება, 1980 წლის მაისი იყო მაშინ გალის შსს განუყოფლების უფროსის მოადგილედ ვმუშაობდი, ბევრი მეგობარი მყავდა აფხაზეთში მათ შორის იყვნენ აფხაზებიც .დამირეკა ჟიულიმ და მეუბნება, ამ დღეებში მე და ჩემი ბიჭები მოვდივართ აფხაზეთში , შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე დაგეგმილი გვაქვს შეხვედრა კომკავშირულ აქტივთან .ამ დროს კომკავშირის საოლქო კომიტეტის მდივნად მუშაობდა ჩემი მეგობარი სერგეი ბაგაფში. გამოთქვა სურვილი მეც დავსწრებოდი ამ შეხვედრას , სიამოვნებით დავთანხმდი. ისიც კარგად მახსოვს როდესაც ჩამოვიდა სოხუმში ვითარება იმდენად შეიცვალა რომ ადრე მომზადებული გამოსვლის ტექსტი უნდა შეცვლილიყო . პირადად ვნახე თუ როგორ კარნახობდა თავის გამოსვლას მემანქანეს . ეს შეხვედრა პარტიის საოლქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში ძალზე დაძაბულ ვითარებაში გაიმართა. ეს ის პერიოდია როდესაც აშკარაა ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ფარული ურთიერთდაპირისპირების სიმპტომები . ჟიულიმ სიტყვის გამოსვლის ნაცვლად კითხვა პასუხის რეჟიმში წარმართა დიალოგი. შეიძლება ითქვას რომ ყველა კითხვაზე მისი პასუხი იყო დამაჯერებელი. ჩვეული სიფრთხილე იგრძნობოდა პასუხებში, თუმცა ხაზგასმით აღნიშნავდა რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. იმასაც გაუსვა ხაზი რომ ძალზე ბევრია გასაკეთებელი რომ ადამიანმა შენი მოკრძალებული კვალი დატოვო. აფხაზეთის პრობლემა არ გადაწყდება ერთ თვეში მაგრამ იმაზე უნდა დავფიქრდეთ თუ რას ვუტოვებთ ჩვენს მომავალ თაობას . ყოველთვის ყურადღებას ამახვილებდა წარსულის ობიექტური შეფასების აუცილებლობაზე ,კონფლიქტების მოგვარების საქმეში გალის რაიონის მცხოვრებთა განსაკუთრებულ როლზე . კონფლიქტების მოგვა და ბოლოს ჩემი წერილი მინდა დავამთავრო ეროვნული გმირის ჟიული შარტავას სიტყვებით: ბარიკადების ორივე მხარეს საქართველოა ,ეს ორი საქართველო ორი ცხენი, ან ორი სკამი როდია, ეს ერთი მთლიანი საქართველოა, თავისი ტკივილებით, თავისი საწუხარით, სათქმელით, მონოლითითა და ზარებით , წარსულით .

ჯემალ გაბელია